



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
28 ივნისი 2021

ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის მაისში ექსპორტი წლიურად 45.0%-ით გაიზარდა და 339.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 70.0%-იანი წლიური ზრდის შემდეგ. ამასთან, იმპორტი 40.3%-ით გაიზარდა 742.3 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვის 58.0%-იანი ზრდის შემდეგ (2019 წლის მაისთან შედარებით 2021 წლის მაისში ექსპორტი მცირედით 0.4%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი 6.5%-ით ნაკლები იყო). შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 36.5%-ით გაიზარდა მაისში და 402.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2021 წლის მაისში 5 უმსხვილესი საქსპორტო საქონელი იყო: სპილენძი (+48.8% წ/წ), ავტომობილები (+186.6% წ/წ), ფეროშენადნობები (+89.5% წ/წ), ღვინო (+6.1% წ/წ) და ალკოჰოლური სასმელები (+10.3% წ/წ). ამასთან, მთლიანი ექსპორტის 12.0% ევროკავშირის ქვეყნებში (-39.1% წ/წ) განხორციელდა, 46.6% დსთ-ის ქვეყნებში (+74.5% წ/წ), ხოლო 41.4% დანარჩენ ქვეყნებში (+83.3% წ/წ). 2021 წლის მაისში 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: ავტომობილები (+3.4% წ/წ), ნავთობი (+139.1% წ/წ), სპილენძი (+31.8% წ/წ), მედიკამენტები (+34.4% წ/წ) და ტელეფონები (+302.5% წ/წ). ჯამურად, 2021 წლის პირველ 5 თვეში, სავაჭრო ბალანსი წლიურად 9.6%-ით გაუარესდა და 1.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 24.4%-ით გაიზარდა 1.5 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 15.7%-ით გაიზარდა 3.5 მლრდ აშშ დოლარამდე.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2021 წლის მაისში წლიურად 15.7%-ით გაიზარდა (წინა თვესთან შედარებით 1.5%-ით შემცირდა ლარის გამყარების შედეგად) და 39.5 მლრდ ლარი შეადგინა. გაცლითი კურსის ეფექტის გამოცხადებით, სესხების პორტფელის წლიური ზრდა მაისში 11.3% იყო (+1.2% თ/თ). სექტორების მიხედვით, მაისში დაჩქარდა როგორც კორპორატიული დაკრედიტების, ისე საცალო სესხების წლიური ზრდის ტემპი და შესაბამისად, 9.4% და 13.2% შეადგინა (კურსის ეფექტის გამოცხადებით). ამასთან, იპოთეკური სესხების გაცემები წლიურად 725.1%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამოცხადებით). 2021 წლის მაისში სესხების დოლარიზაციამ 54.0% (-3.7033 წ/წ და -1.4833 თ/თ) შეადგინა და უმოქმედო სესხები 2.3%-ს გაუტოლდა (უცვლელი წ/წ და +0.0733 თ/თ). საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები 2021 წლის მაისში წლიურად 22.1%-ით, ხოლო წინა თვესთან შედარებით 2.5%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამოცხადებით) და 35.4 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, ლარის დეპოზიტები წლიურად 37.3%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში 13.6%-ით გაიზარდა. ამასთან, მაისში დეპოზიტების დოლარიზაციამ 60.7% შეადგინა (-3.3733 წ/წ და -2.0033 თ/თ).

მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის მაისში მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიური ზრდა 15.5%-მდე შენედა, წინა თვის 17.5%-იანი ზრდის შემდეგ. ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ სექციებში: დამამუშავებელი მრეწველობა (+15.5%) და ელექტროენერგია, აირი და კონდიცირებული ჰაერი (+16.1%).


მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 23 ივნისის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 9.5%-ზე დატოვა. მაისში წლიურმა ინფლაციამ 7.7% შეადგინა. სეზონური მიხედვით, 2021 წლის ივნისში წლიური ინფლაციის პიკური მაჩვენებელი დაფიქსირდება, ხოლო 2021 წელს, სხვა თანაბარ პირობებში, საშუალო წლიური ინფლაცია 7.0% იქნება. სეზონური განმარტებით, მსოფლიო ბაზრებზე გაზრდილი ფასებისა და გაცლითი კურსის წინა პერიოდებში გაუფასურების ფონზე, ინფლაციის მაჩვენებელზე იმპორტული საქონლისა და სურსათის ფასების გავლენა კვლავ მაღალია. ამასთან, გლობალურად მზარდი ნავთობის ფასები საწვავის გაძვირებასა და შედეგად, ინფლაციაში მისი წვლილის მატებას განაპირობებს. რაც შეეხება მოთხოვნის მხარეს, წინასწარი ინდიკატორები მის მნიშვნელოვან გააქტიურებაზე მიუთითებს, რაც მანამდე არსებულ პროგნოზებზე მაღალია. სეზონური მიმდინარე პროგნოზით, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ხანგრძლივად შენარჩუნებითა და მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი ერთჯერადი ეგზოგენური ფაქტორების მოსალოდნელი მიღწევის ფონზე, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად 2022 წელს დაუახლოვდება. ამასთან, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 4 აგვისტოს ჩატარდება.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,584	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,722	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5%	7.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.3	3.5	3.9
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	6.8%	5.5%	12.3%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.3%	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	40.4%	60.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-21

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB უარყოფითი დასაძვრელი თებერვალი-2021	 Ba2 სტაბილური დასაძვრელი მაისი-2021	 BB უარყოფითი დასაძვრელი თებერვალი-2021
--	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 22 ივნისს 5-წლიანი 35 მლნ ლარის (11.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.4-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.3083%-ით შემცირდა და 9.085% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის ივლისის პირველ კვირაში, სადაც 6-თვიანი 15 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	60	105	65
1-წელი	60	105	425
2-წელი	80	140	1,290
5-წელი	219	201	2,374
10-წელი	44	56	1,281
სულ	463	607	5,435

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2021 წლის 31 მაისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.73%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.55 (+0.14% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.30 (-0.17% წინა კვირასთან შედარებით), 5.60%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრობდა 100.96 ფასად (-0.02% წინა კვირასთან შედარებით), 3.84%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 102.03 (-0.15% წინა კვირასთან შედარებით), 2.30%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	102.03	2.30	137.30
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	100.96	3.84	263.46
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	106.55	2.73	238.25
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	110.05	9.11	678.79
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	101.30	5.60	510.76
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	109.84	7.01	465.07
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	107.72	3.01	246.25
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	110.00	9.29	667.11
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	106.66	5.89	469.86

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B+/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/21	USD	10	7.50%	Aug-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	14.25%	Sep-21	B-/B+/-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 13.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.82% წინა კვირასთან შედარებით და +7.72% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 245 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 13.08 - 13.72 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 44 ათასი აქცია შეადგინა.


Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.87 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +8.19% წინა კვირასთან შედარებით და +9.39% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 212 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 6.34 - 6.87 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 35 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 11.24 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.54% წინა კვირასთან შედარებით და +2.93% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 114 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 11.00 - 11.36 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)





აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

								P/E		P/B	
ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.		2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	13.40	659	10.7%	26.4%	9.8%	5.16x	4.36x	1.04x	0.90x
TBC	TBC	GBP	11.24	620	-8.2%	24.5%	-10.1%	4.62x	4.02x	0.79x	0.69x
Sberbank	SBER	USD	17.32	93,445	18.4%	46.7%	19.2%	6.76x	6.34x	1.18x	1.07x
Halyk Bank	HSBK	USD	15.74	4,625	36.9%	19.7%	35.1%	4.78x	4.92x	1.16x	1.10x
VTB Bank	VTBR	USD	1.35	8,748	37.5%	38.2%	41.4%	3.48x	3.23x	0.42x	0.40x
Akbank	AKBNK	TRY	5.34	27,768	-18.0%	-9.5%	-22.9%	3.94x	2.79x	0.42x	0.37x
Garanti	GARAN	TRY	8.20	34,440	-16.8%	-0.2%	-20.9%	4.21x	2.94x	0.52x	0.44x
Isbank	ISCTR	TRY	5.22	23,490	-22.7%	-1.9%	-25.4%	3.05x	2.22x	0.33x	0.29x
PKO	PKO	PLN	40.78	50,975	41.9%	78.7%	42.0%	10.92x	11.39x	1.17x	1.11x
PEKAO	PEO	PLN	102.70	26,956	68.1%	89.5%	68.1%	14.83x	11.99x	1.02x	0.98x
Millennium	MIL	PLN	5.11	6,199	61.2%	58.7%	56.3%	8.11x	7.14x	0.75x	0.74x
Mbank	MBK	PLN	346.60	14,684	94.8%	43.9%	93.4%	11.60x	11.56x	0.88x	0.84x
BRD	BRD	RON	17.40	12,126	18.4%	51.3%	17.1%	11.68x	11.10x	1.17x	1.32x
Banca Transilvania	TLV	RON	2.76	15,836	21.6%	44.2%	22.7%	10.16x	9.20x	1.55x	1.46x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	-3.5%	-3.5%	-3.5%	8.79x	8.06x	0.61x	0.56x
Komercni	KOMB	CZK	760.50	144,532	19.8%	37.3%	15.8%	14.79x	12.26x	1.19x	1.18x
საშუალო								7.93x	7.09x	0.89x	0.84x
მედიანა								7.43x	6.74x	0.95x	0.87x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

								P/E		P/B	
ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.		2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.87	329	33.9%	51.0%	27.2%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.70	462	-0.8%	-2.7%	-1.9%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	9.23	18,833	-12.3%	1.5%	-19.5%	3.61x	2.97x	0.45x	0.37x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	34.20	515	7.0%	21.1%	9.8%	6.78x	7.03x	1.08x	0.98x
Eurazeo	RF	EUR	73.00	5,768	30.4%	60.8%	31.5%	15.29x	13.64x	0.93x	0.85x
Carlyle Group	CG	USD	46.94	16,644	49.7%	65.3%	49.3%	18.81x	15.12x	5.22x	4.39x
საშუალო								11.12x	9.69x	1.92x	1.65x
მედიანა								11.04x	10.33x	1.00x	0.91x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადდა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადდა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოდობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge